


შპს არტსტუდიო-პროექტი
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	კომ.	31.12.22	31.12.21
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	297 565,89	697 561,49
მოკლევადიანი მოთხოვნები	4	1 163 162,27	818 685,63
მარაგები		47 414,49	12 482,39
წინასწარ გაწეული ხარჯები		2 980,08	2 980,08
		1 511 122,73	1 531 709,59
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	5	236 011,69	226 062,79
		236 011,69	226 062,79
		1 747 134,42	1 757 772,38
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6	2 511 382,11	2 480 288,85
		2 511 382,11	2 480 288,85
საკუთარი კაპიტალი			
სანესდებო კაპიტალი		200,00	200,00
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(764 447,69)	(722 716,47)
		(764 247,69)	(722 516,47)
		1 747 134,42	1 757 772,38


დირექტორი

ი. სკალვინი





ბუღალტერი

ხ. სარიშვილი




საქმიანობის შედეგები		
	2022	2021
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	2 547 584,79	1 734 091,94
მომსახურების თვითღირებულება	(799 073,22)	(712 004,40)
საერთო მოგება	1 748 511,57	1 022 087,54
წმინდა სხვა შემოსავალი	2 413,19	2 685,84
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 531 721,60)	(1 536 366,59)
ცვეთა და ამორტიზაცია	(34 482,87)	(37 860,00)
საპროცენტო ხარჯი	-	-
იჯარის ხარჯი	(3 120,00)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(230 421,74)	(258 828,46)
საოპერაციო მოგება	(48 821,45)	(808 281,67)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	7 090,23	26 289,33
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	(41 731,22)	(781 992,34)
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	(41 731,22)	(781 992,34)
საკუთარი კაპიტლი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	(722 516,47)	59 475,87
კაპიტალის გაზრდა	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(764 247,69)	(722 516,47)

დირექტორი
ი. სკალვინი




ბუღალტერი
ბ. სარიშვილი



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს არტსტუდიო-პროექტი (ს/ნ 204489393, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2005 წლის 18 ოქტომბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გ. ტაბიძის ქ., N3/5.

კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

- გიორგი სულაბერიძე (პ/ნ 01008003578) – 50%;
- ვასილ წერეთელი (პ/ნ 01005002922) - 50%

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ოთარ სულაბერიძე (პ/ნ 01008047000);
- დირექტორი - ირენე სკალვინი (პ/ნ 01030053980).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საპროექტო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადანაწილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს

ფული და ფულადი ექვივალენტები	31.12.22	31.12.21
ფული ბანკში	297 565,89	697 561,49
	297 565,89	697 561,49

4. მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავს

მოკლევადიანი მოთხოვნები	31.12.22	31.12.21
მოთხოვნები მომსახურებიდან	134 791,40	113 105,71
მოთხოვნები პერსონალისადმი	358,50	978,50
გაცემული ავანსები	431 180,73	296 140,25
საგადასახდო აქტივი	596 831,64	408 461,17
	1 163 162,27	818 685,63

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	31.12.2021	წმინდა ცვლილება	31.12.22
ისტორიული ღირებულება			
შენობები	377 874,73	-	377 874,73
კომპიუტერული ტექნიკა	276 459,65	35 705,08	312 164,73
ოფისის აღჭურვილობა	130 111,45	8 726,69	138 838,14
სატრანსპორტო საშუალებები	85 327,02	-	85 327,02
არამატერიალური აქტივები	286,45	-	286,45
	870 059,30	44 431,77	914 491,07
აკუმულირებული ცვეთა			
შენობები	(203 696,00)	(7 969,50)	(211 665,50)
კომპიუტერული ტექნიკა	(192 239,38)	(14 889,50)	(207 128,88)
ოფისის აღჭურვილობა	(117 757,31)	(9 045,13)	(126 802,44)
სატრანსპორტო საშუალებები	(129 937,51)	(2 578,74)	(132 516,25)
არამატერიალური აქტივები	(366,31)	-	(366,31)
	(643 996,51)	(34 482,87)	(678 479,38)
საბალანსო ღირებულება			
შენობები	174 178,73	(7 969,50)	166 209,23
კომპიუტერული ტექნიკა	84 220,27	20 815,58	105 035,85
ოფისის აღჭურვილობა	12 354,14	(318,44)	12 035,70
სატრანსპორტო საშუალებები	(44 610,49)	(2 578,74)	(47 189,23)
არამატერიალური აქტივები	(79,86)	-	(79,86)
	226 062,79	9 948,90	236 011,69

6. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს

სავაჭრო ვალდებულებები	31.12.22	31.12.21
მომწოდებლები	84 984,00	110 228,21
ვალდებულებები პერსონალისადმი	2 017,67	2 344,17
მიღებული ავანსები	2 424 380,44	2 367 716,47
	2 511 382,11	2 480 288,85